გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 117

2022 წლის 10 ივნისი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2021 წლის 5 ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე საქმიანობის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2021 წლის 5 ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე საქმიანობის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2021 წლის 5 ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე საქმიანობის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტემუნიციპალური სააგენტო

საქართველო, გორი, ფერაძის ქ. N5 ტელეფონი +995 595 55 33 08 trampdogs@gmail.com

41

24 მაისი 2022 წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

ბატონო დავით,

თქვენს მიერ 2022 წლის 16 მაისს გამოგზავნილი #21-21221368 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2021 წლის 5 ივლისიდან დღემდე ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 124 ხელშეკრულება სხვადასხვა საჭირო მარაგების შესასყიდად. აღნიშნულ პერიოდში გამოცხადდა და დადებითად დასრულდა 9 ტენდერი, მათ შორის:

1. ცხოველის საკვები - (2021 წლის სექტემბერი) - 24750 ლარის ღირებულება;
2. ოპელ კომბოს ფირმის 3 ერთეული ავტომობილი - (2021 წლის სექტემბერი) - 37497 ლარის ღირებულება;
3. სამედიცინო მოწყობილობები - (2021 წლის სექტემბერი) (ჭრილობის გასაკერი ძფები, სკალპელები, სამედიცინო ფორმები, სამედიცინო მაგიდები, სტერილური ხელთათმანები, სამედიცინო ინსტრუმენტები) – 11744 ლარის ღირებულება;
4. მედიკამენტების შესყიდვა - (2021 წლის ოქტომბერი) – 819 ლარის ღირებულება;
5. ვეტერინარული დანიშნულების მედიკამენტები (2021 წლის ნოემბერი) – 4553 ლარის ღირებულება.
6. სპეკონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტის „კეტამინი“ შესყიდვა - (2022 წლის იანვარი) – 3250 ლარის ღირებულება;
7. ცხოველის საკვები - (2022 წლის იანვარი) – 74400 ლარის ღირებულება;

8. სამედიცინო მოწყობილობები - (2022 წლის მარტი) (ჭრილობის გასაკერი ძაფები, სკალპელები, სამედიცინო ფორმები) – 16477 ლარის ღირებულება;
9. ვეტერინარული დანიშნულების მედიკამენტები (2022 წლის მარტი) – 17445 ლარის ღირებულება.

2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული 344000 ლარიდან გაიხარჯა 256507 ლარი, მათ შორის 117175 ხელფასი.

2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული 905000 ლარიდან ამ ეტაპზე დახარჯულია 363310 ლარი, მათ შორის 186450 ხელფასი.

პატივისცემით

დირექტორი

თამარ აფციაური

Tamar Aptsiauri

Digitally signed by Tamar Aptsiauri
Date: 2022.05.24 13:46:52 +04'00'